

თპუ  
სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

სხდომა №1

თბილისი

23 სექტემბერი 2006წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

პროფესორი კახი ყურაშვილი, პროფესორი ვიოლეტა გეწაძე, ასოც. პროფ. ინგა ლომსაძე, ასოც. პროფესორი თამარ ალფაიძე და ასისტენტ-პროფესორები ანასტასია აბაიაძე და გიორგი თუმანიშვილი

**სხდომის თავჯდომარე :**

პროფესორი კახი ყურაშვილი

**სხდომის მდივანი:**

ასისტენტ-პროფესორი ანასტასია აბაიაძე

**დღის წესრიგი:**

თპუ სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსზე ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის დამოუკიდებელ უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტის ირაკლი კახაძის გადმოყვანისა და მის მიერ ჩაბარებულ სასწავლო დისციპლინებში მოპოვებული კრედიტებისა და შეფასებების აკადემიური ცნობის თაობაზე.

**მოისმინეს:**

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომელმაც განაცხადა რომ ირაკლი კახაძის ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეების სპეციალობით რვა სემესტრში განვლილ საგანთაგან თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია და შესაბამისად, შესაძლებელია სტუდენტს მოპოვებული სასწავლო კრედიტები და შეფასებები აღიარებულ იქნას შემდეგ სასწავლო დისციპლინებში:

1. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია - სამართლის თეორია, სახელმწიფოთმცოდნეობა;
2. იურიდიული ფსიქოლოგია;
3. რომის სამართალი;
4. ლოგიკა;
5. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია - ქართული სამართლის ისტორია;
6. საქართველოს ისტორია;
7. სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია;
8. ფილოსოფია;
9. ადმინისტრაციული სამართალი - საქ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი;
10. სახელმწიფო სამართალი - საქართველოს კონსტიტუციური სამართალი;
11. სამოქ. სამართალი ზ/ნ - შესავალი სამოქალაქო სამართალში;
12. სისხლის სამართალი ზ/ნ;



13. შრომის სამართალი
14. სამოქ. სამართლის კ/ნ - სანიეთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი;
15. სისიხლის სამართალი კ/ნ;

დეკანმა კახი ყურაშვილმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ თჳს სამართლის ფაკულტეტის სამარალმცოდნეობისთვის საბაკალავრო პროგრამიდან ირაკლი კახიძის მიერ უნდა განხორციელდეს პროგრამათა შორის განსხვავებული სავალდებულო საგნების ინდივიდუალურად ჩაბარება.

ეს საგნებია:

1. ფიზიკური კულტურა;
2. კომპიუტერული პროგრამები;
3. უცხო ენა;
4. შესავალი იურისპრუდენციაში;
5. სამართლის ფილოსოფია;
6. მსოფლიო სამართლებრივი სისტემები;
7. საქ. ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;

აზრი გამოთქვებს : ასოც. პროფესორებმა: ინგა ლომსაძემ , თამარ ალფაიძემ. მათ მიზანშეწოლილად მიიჩნიეს ფაკულტეტის დეკანის წინადადებათა დამტკიცება.

სამართლის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვიტა:

დამტკიცდეს თჳს სამართლის ფაკულტეტის დეკანის კახი ყურაშვილის ორივე წინადადება, განხორციელდეს ზემოაღნიშნული სასწავლო დისციპლინებში მოპოვებული შეფასებების აკადემიური ცნობა და მიეცეს თანხმობა თჳს რექტორს ირაკლი კახიძის გადმოყვანაზე სამართლის ფაკულტეტის მე-3 კურსზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ა. აბაიაძე

